# ა ქ ტ ი
## (ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე)

ქ. ბათუმი

17 მარტი, 2017 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის" ტექნიკური ზედამხედველობის და რწმუნებულების განყოფილების ტექნიკურმა ზედამხედველმა თენგიზ ხუციშვილმა და მეორეს მხრივ შპს ,,რეკონსტრუქცია XXI"-ის დირექტორმა გელა ხარჭამაძემ, შევადგინეთ აქტი 2016 წლის 9 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №192 ხელ-შეკრულების საფუძველზე მასზედ, რომ შპს ,,რეკონსტრუქცია XXI"-ის მიერ დარღ-ვეულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ შპს ,,რეკონსტრუქცია XXI"-ს ქ.ბათუმში ჭავჭავაძის ქუჩა №9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ჩამონგრეული კედლის აღდგენისა და სახურავის მოწყობის სამუშაოები უნდა დაესრულებინა არაუგვიანეს 2017 წლის 1 თებერვლისა, მიუხედავად ამისა სამუშაო დასრულებულ იქნა და მიღება-ჩაბარებას დაექვემდებარა 2017 წლის 17 მარტს.

2017 წლის 17 მარტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №192 ხელშეკრულების (მუხლი 10 - ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა) შესაბამისად, შპს ,,რეკონსტრუქცია XXI"-ს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების 44 (ორმოცდაოთხი) დღის (01.02.2017წ.-17.03.2017წ.) ვადაგადაცილების გამო ყოველი დაგვიანებული დღისთვის დაეკისროს პირგასამტეხლო ხელ-შეკრულების საერთო ღირებულების (75503,47 (სამოცდათხუთმეტი ათას ხუთას სამი ლარი და 47 თეთრი) ლარი)) 0,5 %-ის, ჯამში 16610,88 (თექვსმეტი ათას ექვსას ათი ლარი და 88 თეთრი) ლარის ოდენობით. (377,52 ლარი ყოველი დაგვიანებული დღისთვის). თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე (სახაზინო კოდი 300693287 - ბანკის კოდი TRESGE22)

აქტი სწორია, შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს.

ა(ა)იპ ,,ბათუმის კორპუსის" ტექნიკური ზედამხედველობის და რწმუნებულების განყოფილების ტექნიკურიზედამხედველი

თენგიზ ხუციშვილი

შპს ,,რეკონსტრუქცია XXI"-ის დირექტორი:

გელა ხარჭამაძე

REKONSTRUGCIA-XXI LTD * 400164326 *